საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერწუხი

ერწუხი, ერტოხი, გეოგრაფიული ადგილი, ზუსტი მდებარეობა გაურკვეველია. ს. კაკაბაძის თვალსაზრისით აქ შეიძლება ერწოს (ივრის ხეობა) მიმდებარე მხარე იგულისხმებოდეს. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით, ე. ჰერეთ-კახეთში იყო და აწინდელ ერწოსთან მისი გეოგრ. გაიგივება დასაშვები არ არის. ე-ში დავით აღმაშენებელი განძის ათაბაგს და მის მომხრე ჰერ-კახთ შეებრძოლა: „ქმნნა წყობანი დიდნი და ჴმა-გასმენილი იგი დიდი ძლევაჲ” (იხ. ერწუხის ბრძოლა 1104).

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1964; კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., დავით აღმაშენებლის დიდი ომი, «ქუთაისის პედ. ინ-ტის შრომები», 1942, ტ. 4; პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

თ. პაპუაშვილი